საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზედა ჭყვიში

ზედა ჭყვიში, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), გორმაღლის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. რიონის ხეობაში. ჭყვიშის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ჭ., ქვედა ჭყვიში, ქვიშარი). ზ. დ. 800 მ, ამბროლაურიდან 26 კმ.

197 მცხ. (2002). სოფლის თავში გვიანდ. შუა საუკუნეების ციხის ნანგრევებია. ზ. ჭ-ის მახლობლადაა შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია ლაბეჭინა.